განკარგულება - N 23.92.99
25 / იანვარი / 2023 წ.

ქ. თბილისი, პეტრე იბერის ქ. N16 (ს/კ: N01.10.06.001.234) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ი.ბ.ა. „დიდგორი 2006“-ის (ს/ნ 205137449) მიმართ დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველ კომისიას (შემდგომში - კომისია) 2023 წლის 17 იანვარს N19/01230171781-01 განცხადებით მიმართა ი.ბ.ა. „დიდგორი 2006“-მა (ს/ნ 205137449) და მოითხოვა მისამართზე - ქ. თბილისი, პეტრე იბერის ქ. N16 (ს/კ: N01.10.06.001.234) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის გაცემული მხარდამჭერი ღონისძიებების ფარგლებში დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენება.

კომისიამ 2023 წლის 25 იანვრის სხდომაზე განიხილა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი განცხადება. საკითხის განხილვის დროს გამოიკვეთა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

კომისიამ (ოქმი N12; 7.09.2022) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას წარუდგინა დადებითი რეკომენდაცია მისამართზე - ქ. თბილისი, პეტრე იბერის ქ. N16 (ს/კ: N01.10.06.001.234) - მდებარე სამშენებლო ობიექტთან მიმართებით შესაბამის მხარდამჭერ ღონისძიებებთან დაკავშირებით, მის მიერ წარმოდგენილი განცხადებისა (N19/01211332311-10, 13.05.2021; N19/01212282614-01, 16.08.2021; 19/01213583468-01, 24.12.2021; 10/0122224142-01, 12.08.2022; 10/0122228479-01, 16.08.2022) და დოკუმენტაციის ფარგლებში. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის ეს გადაწყვეტილება (განკარგულება N22.1377.1506; 7.09.2022) შეთანხმდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან (განკარგულება N467, 9.09.2022).

დაინტერესებული პირი ი.ბ.ა. „დიდგორი 2006“-ი (ს/ნ 205137449) ითხოვს: არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის ეტაპზე არ იქნეს გათვალისწინებული ავტოსადგომის რაოდენობის განმსაზღვრელი მოთხოვნები.

აზრი გამოთქვეს კომისიის თავმჯდომარემ და წევრებმა, კერძოდ რამდენადაც:

ა) მისამართზე - ქ. თბილისი, პეტრე იბერის ქ. N16 (ს/კ: N01.10.06.001.234) - არსებული სამშენებლო ობიექტის არის დაუმთავრებელი მშენებლობის სტატუსის მქონე ობიექტი,

ბ) არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, სამშენებლო ობიექტი თითქმის დასრულებულია, უკვე მოწყობილია პირველადი პროექტით განსაზღვრული ავტოსადგომების რაოდენობა,

გ) შეუძლებელია დამატებითი ავტოსადგომების მოწყობა;

დ) ი.ბ.ა. „დიდგორი 2006“-ის (ს/ნ 205137449) მიერ მოთხოვნილი დამატებითი/დაზუსტებული მხარდამჭერი ღონისძიებები არ იწვევს საერთო სამშენებლო ფართისა და მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტებას,

კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისამართზე - ქ. თბილისი, პეტრე იბერის ქ. N16 (ს/კ: N01.10.06.001.234) - არსებული სამშენებლო ობიექტის მიმართ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული (განკარგულება N22.1377.1506; 7.09.2022) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებული (განკარგულება N467, 9.09.2022) მხარდამჭერი ღონისძიებების გამოყენების მიზნით, განისაზღვროს დამატებითი/დაზუსტებული ხელშემწყობი ღონისძიებები.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 75-ე მუხლის ,,ე.გ“ ქვეპუნქტის, ,,ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - ,,დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების'' 35-ე მუხლის საფუძველზე და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული

საკითხების განმხილველი კომისიის 2023 წლის 25 იანვრის N1 სხდომის ოქმის გათვალისწინებით,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. ი.ბ.ა. „დიდგორი 2006“-ს (ს/ნ 205137449) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის შემთხვევაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული (განკარგულება N22.1377.1506; 7.09.2022) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შეთანხმებული (განკარგულება N467, 9.09.2022) მხარდამჭერი ღონისძიებების ფარგლებში, წარმოდგენილი განცხადების (N19/01230171781-01, 17.01.2023) საფუძველზე, მისამართზე - ქ. თბილისი, პეტრე იბერის ქ. N16 (ს/კ: N01.10.06.001.234) -არსებული სამშენებლო ობიექტის მიმართ განესაზღვროს შემდეგი დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიება - არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის ეტაპზე არ იქნეს გათვალისწინებული გადამეტებულ ფართზე ავტოსადგომის რაოდენობის განმსაზღვრელი მოთხოვნები.

2. ამ განკარგულებით გათვალისწინებული საკითხი შესათანხმებლად წარედგინოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს კახაბერ გულედანს.

4. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი კახა კალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 32

"27" იანვარი 2023 წ.

ქ. თბილისი

მისამართზე - ქ. თბილისი, პეტრე იბერის ქ. №16 (ს/კ. №01.10.06.001.234) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ი.მ.ს. „დიდგორი 2006"-ის (ს/ნ. 205137449) მიმართ დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ,,ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - ,,დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების" 35-ე მუხლისა და „ქ. თბილისი, პეტრე იბერის ქ. №16 (ს/კ. №01.10.06.001.234) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ი.მ.ს. „დიდგორი 2006"-ის (ს/ნ. 205137449) მიმართ დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 25 იანვრის №23.92.99 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ი.მ.ს. „დიდგორი 2006"-ის (ს/ნ. 205137449) მიმართ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული (2022 წლის 7 სექტემბრის განკარგულება №22.1377.1506) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შეთანხმებული (2022 წლის 9 სექტემბრის განკარგულება №467) მხარდამჭერი ღონისძიებების ფარგლებში, მისამართზე - ქ. თბილისი, პეტრე იბერის ქ. №16 (ს/კ. №01.10.06.001.234) არსებული სამშენებლო ობიექტის მიმართ - შემდეგი დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენებაზე - არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის ეტაპზე არ იქნეს გათვალისწინებული გადამეტებულ ფართზე ავტოსადგომების რაოდენობის განმსაზღვრელი მოთხოვნები.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე